რუსთავის საქალაქო და გარდამნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოების 2023 წლის საქმიანობის ანგარიში



სარჩევი

2023 წელს განხორციელებული პროექტები და დანერგილი სიახლეები ---------- 2

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ---------- 19

USAID სასამართლოს უზენაესობის პროგრამის და

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის CEPEJ-ის ანგარიშები ---------- 26

სასამართლო მედიაცია ---------- 37

შეხვედრები ---------- 38

გამოცემული ბრძანებები ---------- 41

დისციპლინური წარმოებების შესახებ ---------- 41

მოხელეთა წახალისება ---------- 42

საშტატო ნუსხა ---------- 43

გამოცხადებული კონკურსები ---------- 48

მადლობის წერილები ---------- 49

სასამართლოს თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევა ---------- 50

სტატისტიკური მონაცემები ---------- 53

2023 წლის ივლისის თვეში, განახლდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს შიდა ფოიეს ინტერიერი:

მცირეწლოვანი ბავშვებისთვის მოწყობილი მოსაცდელი/გასართობი და საინფორმაციო სივრცის იზოლირების უზრუნველსაყოფად განთავსდა გამყოფი ბარიერები.

შენობის ინტერიერში ფერთა აღრევის თავიდან აცილების მიზნით, ავეჯის ზედაპირები შეიფუთა ნაცრისფერი საფარით.

2023 წლის ივლისის თვეში, მოქალაქეებისთვის, ***მობილური ტელეფონების დასატენად,*** მოეწყო და ტექნიკური საშუალებებით აღიჭურვა შესაბამისი სივრცე.

როგორც საზოგადოებისთვის არის ცნობილი, რუსთავის საქალაქო სასამართლოში 2018 წლიდან მოქმედებს სასამართლო ***სხდომების ადმინისტრირებისა და მართვის სისტემა,*** რომელმაც მინიმუმამდე დაიყვანა სასამართლო სხდომების ურთიერთ დამთხვევა, სხდომის დარბაზების უკმარისობით გამოწვეული სხდომათა გადადებები, სასამართლო სხდომების არასამუშაო დღეებში შეცდომით დანიშვნა. ამასთან, სასამართლოს ფოიეში განთავსებულია სხდომის განრიგების (სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული კოლეგიების) ელექტრონული დაფა, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლოს მეტ გამჭირვალობას და სასამართლოს მომხმარებელთა დეტალურ ინფორმირებას სხდომათა მიმდინარეობის თაობაზე.

მომხმარებელთა კმაყოფილებისა და მათთვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდების უზრუნველსაყოფად, რუსთავის საქალაქო სასამართლო მის ყოველდღიურ საქმიანობაში ცდილობს რა სერვისების სტანდარტებისა და არსებული ინსტრუმენტების გადახედვა/გაუმჯობესებას, ***რუსთავის საქალაქო სასამართლოს ფოიეში დამატებით განთავსდა სხდომების ელექტრონული დაფა.*** შედეგად, ერთ მონიტორზე ასახულია სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განსჯადობას მიკუთვნებულ საქმეებზე ჩანიშნული სხდომების, ხოლო მეორე მონიტორზე სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადობას მიკუთვნებულ საქმეებზე ჩანიშნული სხდომების განრიგი, რამაც კიდევ უფრო დროული გახადა მოქალაქეებისთვის მათთვის სასარგებლო ინფორმაციის მიღება.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ფოიეში სხდომის გრაფიკების ამსახველი მონიტორები

სასამართლოს მეტად ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, გათვალისწინებულ იქნა რა განსხვავებული საჭიროებების მქონე პირებისთვის (ეტლით მოსარგებლე, ხანდაზმულები, ბავშვები, და ა.შ.) სხდომათა დარბაზში არსებული ინვენტარის მოდერნიზების საჭიროება, 2023 წლის აგვისტოს თვეში, რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს ყველა დარბაზი აღჭურვილი იქნა ***ტრანსფორმირებადი მოწმის დასაკითხი მაგიდებით.***

რუსთავის საქალაქო სასამართლო

გარდაბნის მაგისტრატი სასამართლო

2023 წლის ოქტომბრის თვეში, რუსთავის საქალაქო სასამართლოს შენობის ფასადზე მოეწყო ***ხმის გამაძლიერებელი სისტემა,*** რომლის საჭიროებისამებრ გამოყენების უზრუნველსაყოფად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2023 წლის 20 ოქტომბრის №533/თ ბრძანებით, განისაზღვრა ცალკეული ორგანიზაციული საკითხები.

დღის საათებში, ხმის გამაძლიერებელი მოწყობილობის გამოყენება დასაშვებია, შემდეგი მიზნებით:

ა) არსებობს დაზუსტებული ინფორმაცია, რომ პროცესზე გამოცხადებული მხარე (წარმომადგენელი) იმყოფება რუსთავის საქალაქო სასამართლოს ტერიტორიაზე და მისი გამოცხადების მიუხედავად არ იძებნება სასამართლოს ფოიეში;

ბ) რუსთავის საქალაქო სასამართლოს შენობის წინა, მიმდებარე ტერიტორიაზე ავტომანქანა ჩერდება აკრძალულ ადგილას, კერძოდ: ა) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის განკუთვნილ ავტოსადგომზე; ბ) რუსთავის საქალაქო სასამართლოს შენობის ეზოში შემოსასვლელი ჭიშკრის წინ;

გ) იქმნება საფრთხე ქ. რუსთავი, ბოსტან - ქალაქის ქუჩაზე ავტოსატრანსპორტო მოძრაობის შეფერხების.

დღის და ღამის საათებში, ხმის გამაძლიერებელი მოწყობილობის გამოყენება დასაშვებია შემდეგი მიზნებით:

ა) რუსთავის საქალაქო სასამართლოს შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე სამართალდარღვევის აღსაკვეთად;

ბ) რუსთავის საქალაქო სასამართლოს შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე კონფლიქტური სიტუაციის განსამუხტად;

გ) „შეკრებებისა და მანიფესტაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვის დადგენის შესახებ სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილების საჯაროდ გახმოვანებისა და შეკრებასა ან მანიფესტაციაში მონაწილე პირთა ინფორმირების მიზნით.

2023 წლის აპრილის თვიდან, იმის გათვალისწინებით, რომ შემსუბუქებდა კოვიდ შეზღუდვები, მოქალაქეთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, ***რუსთავის საქალაქო სასამართლომ განაახლა საინფორმაციო ცენტრის ფუნქციონირება,*** რომლის მნიშვნელობასა და ეფექტურობაზე ნათლად მიუთითებს რუსთავის საქალაქო სასამართლოში ჩატარებული მომხმარებელთა კმაყოფილების არაერთი კვლევა, ასევე, აღსანიშნავია კიდევ ერთი მოქალაქის მადლობის წერილი (2023 წლის 4 ივლისით დათარიღებული), რომლის თანახმად, მიღებული სერვისით კმაყოფილი მოქალაქე მადლობას უხდის დამხმარე მოსამსახურე - მარიამ მთიულიშვილს გამოჩენილი ყურადღებისთვის და გაწეული მომსახურებისთვის.



რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე, მისი არასრულწლოვნი შვილების ინიციატივით და მხარდაჭერით, რუსთავის საქალაქო სასამართლოში, 2023 წლის ივლისის თვიდან, ახორციელებს პროექტს სახელწოდებით - ***„მეგობრობა მომავალ თაობასთან“.***

რუსთავის საქალაქო სასამართლო აღნიშნავს, რომ მიზანშეუწონლად მიაჩნია მცირეწლოვანი ბავშვების თანხლებით სასამართლოში გამოცხადება, თუ სამართლებრივი საჭიროება არ არსებობს, მოსმენილი იქნას წარმოდგენილი ბავშვის პოზიცია სასამართლოში განსახილველ სადაო საკითხთან დაკავშირებით, თუმცა არცთუ იშვიათად, მშობლები მცირეწლოვანი ბავშვების თანხლებით ცხადდებიან სასამართლოს შენობაში.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, რუსთავის საქალაქო სასამართლომ განახორციელა არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი, რათა მაქსიმალურად დაიცვას სასამართლოში წარმოდგენილი ბავშვების ფიზიკური და ფსიქიკური უსაფრთხოება იმ ემოციური და მატრამვირებელი გარემოსგან, რომელიც ხშირად იქმნება სასამართლოში გამოცხადებულ მხარეთა ემოციური თავშეუკავებლობით. აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია ასევე მოცემულია გასული წლების ანგარიშებში.

შექმნილი გარემოს და სასამართლოში წარმოდგენილი სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის უფრო სასიამოვნო და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნის მიზნით, სასამართლოს თავმჯდომარემ, მისი შვილების რჩევით და მხარდაჭერით, გადაწყვიტა სკოლამდელი ასაკის ბავშვებს, რომლებიც სასამართლოში წარმოდგენილი არიან მხოლოდ მომყოლ პირად და პირდაპირი კავშირი არ აქვთ განსახილველ საქმესთან, სასამართლოს თავმჯდომარის სამახსოვრო წერილთან ერთად გადაცემოდათ მცირედი საჩუქარი, რაც ვფიქრობთ, გაზრდის როგორც სასამართლოს ვიზიტორთა კეთილგანწყობას, ასევე მომავალ თაობაში გააჩენს დადებით ემოციებს სასამართლოსადმი, ამასთან შეგვახსენებს თითოეული ჩვენგანის მაღალ პასუხისმგებლობას მომავალი თაობისადმი.

ამ პროექტის პირველი და მეორე ეტაპის ფარგლებში სამახსოვრო საჩუქრები გადაეცა „52“ ბავშვს.

2023 წლის ნოემბრის თვეში, რუსთავის საქალაქო სასამართლოს მე-2 სართულზე, ღია სივრცეში, გამოიფინა რუსთავის საქალაქო სასამართლოში ჩანიშნულ სხდომაზე, სხვადასხვა სტატუსით გამოცხადებული ბავშვების მიერ შექმნილი ნახატები.

როგორც ზემოთ აღინიშნა, რუსთავის საქალაქო სასამართლო არ მიესალმება სასამართლოს შენობაში ჩვილი და მცირეწლოვანი ბავშვებით გამოცხადებას. რეალობის/ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით (გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო, მშობლებს/მზრუნველებს უწევთ სასამართლოში მოსვლა ჩვილი და მცირეწლოვანი ბავშვების თანხლებით) და დედათა და ბავშვთა სასამართლოს ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად, ჩვილი და მცირეწლოვანი ბავშვებისთვის, 2023 წლის აპრილის თვეში, ***მოეწყო ტანსაცმლის/საფენების გამოსაცვლელი სივრცე.***

2020 წლიდან, რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატ სასამართლოში ქართული ენის არმცოდნე მოქალაქეებთან კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად, გამოიყენება ***„გუგლ მთარგმნელის“ შესაძლებლობები,*** რაც შესაძლებლობას იძლევა კანცელარიის სარკმელთან მოწყობილი დუბლირებული ეკრანებისა და მიკროფონების გამოყენებით, სასამართლოს მომხმარებელი, რომელიც არ ფლობს ქართულ ენას, მისთვის საინტერესო კითხვა დასვას მის მშობლიურ ენაზე და ჩვენგან ქართულ ენაზე გაცემულ პასუხი მიიღოს ისევ მის მშობლიურ ენაზე.

მითითებული სერვისის მოდერნიზების მიზნით, გადაიდგა არაერთი ქმედითი ნაბიჯი და 2021 წელს რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოების მოქალაქეთა მისაღები განყოფილების სარკმელთან ხმის მიმღებ მიკროფონებთან ერთად, დუბლირებული ეკრანების მქონე კომპიუტერზე მოეწყო ***კლავიატურები,*** რომლის გამოყენებითაც მომხმარებელს ეძლევა შესაძლებლობა მისთვის სასურველი კითხვა სასამართლოს მოხელეს ჩამოუყალიბოს ნაბეჭდი სახით, რაც კიდევ უფრო ზრდის თარგმნის სიზუსტეს და სახელმწიფო ენის არ მცოდნე მომხმარებლებისთვის სასამართლოს ხელმისაწვდომობას. საყურადღებოა, რომ ჩვენს მიერ კომპიუტერული ტექნიკის ამ სახით მოწყობა სმენისა და მეტყველების საჭიროებების მქონე პირთათვის ქმნის ახალ შესაძლებლობას გარეშე პირის დახმარების გარეშე დაამყარონ კომუნიკაცია სასამართლოს მოხელეებთან და მათთვის უფრო ხელმისაწვდომი გახდეს სასამართლო სერვისები.

იმის გათვალისწინებით, რომ დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც სმენისა და მეტყველების საჭიროებების მქონე პირები ვერ ახდენდნენ იგლისური და რუსული ასოების მქონე კლავიატურის ეფექტურ გამოყენებას, კომუნიკაციის გაადვილების მიზნით, 2022 წლიდან, როგორც რუსთავის საქალაქო, ასევე გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოში ***მოეწყო სამ ენოვანი (ქართული, ინგლისური, რუსული) კლავიატურები.***

ქართული ენის არ მცოდნე მოქალაქეებისთვის არსებული სერვისების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, ***2023 წლის ნოემბრის თვეში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გამოგვეყენებინა „გუგლ მთარგმნელის“ დამატებითი შესაძლებლობები.***

შესაბამისად, რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოში მოქალაქეს, რომელიც არ ფლობს ქართულ ენას და მისთვის შეუძლებელია ფოიეში მოწყობილ მონიტორებზე ასახული სხდომების განრიგის გაცნობა, მისი მოთხოვნის შემთხვევაში კანცელარიის სარკმელთან მოწყობილი დუბლირებული ეკრანების საშუალებით, ***შესაძლებლობა ეძლევა სხდომის განრიგებს გაეცნოს მისთვის სასურველ ენაზე ნათარგმნი ფორმით.***

თავისუფლება შეზღუდულ, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნებისთვის რუსთავის საქალაქო სასამართლოში, 2020 წლიდან, მოწყობილია ***განსხვავებული და არასრულწლოვნის საჭიროებებზე მორგებული საკანი,*** სადაც გარდა პირველადი საჭიროების ინვენტარისა, კედლები მოხატულია ანტუან დე სენტ ეგზიუპერის ნაწარმოების „პატარა უფლისწულის“ ილუსტრაციებით.

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნებისთვის სასამართლოს შენობაში არსებული დროებითი განთავსების საკნის ნაკლებ მატრამვირებელ გარემოდ ქცევისა და ამასთან, აღმზრდელობითი ფუნქციის უზრუნველსაყოფად, 2023 წლის მარტის თვეში, ***დამონტაჟდა ანტივანდალურ საცავში დაცული ტელევიზორი, რომლითაც, ბავშვის სურვილის შემთხვევაში, ხდება ინტერნეტ სივრცეში გავრცელებული ისეთი ვიდეორგოლების ტრანსლირება, რომლებიც სიკეთეზე - ადამიანის ღვთისგან ბოძებულ ნიჭზე და ძალაზე, სიკეთის კეთების საჭიროებაზე მოუთხრობს მათ.***



რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს თანამშრომელთა რაოდენობისა და შესაბამისად, ელ. ენერგიის მოხმარების ზრდის გამო, ვინაიდან, არსებული გენერატორების სიმძლავრეები არაღ იყო საკმარისი, 2023 წლის ივლისის თვეში რუსთავის საქალაქო სასამართლოში ***დამონტაჟდა ახალი გენერატორი, ხოლო რუსთავის საქალაქო სასამართლოში მანამდე არსებული გენერატორი, გადატანილი და დამონტაჟებული იქნა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოში.***

რუსთავის საქალაქო სასამართლო

გარდაბნის მაგისტრატი სასამართლო

სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული და სასამართლოს თავმჯდომარისთვის გადაცემული ავტომანქანის სეტყვით დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, 2023 წლის ოქტომბრის თვეში, ***რუსთავის საქალაქო სასამართლოს შიდა ეზოში, ლითონის კონსტრუქციით მოეწყო ავტოსადგომი.***

2023 წლის დეკემბრის თვეში, განახლდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს ფოიე:

მოეწყო შენობის ინტერიერთან შესაბამისი ფერის ***საინფორმაციო დაფები.***

ბავშვებისთვის და ეტლით მოსარგებლე პირთათვის კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღებ განყოფილებასთან რეკომენდაციით გათვალისწინებულ სიმაღლეზე განთავსდა განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთათვის, ასევე ბავშვებისთვის განკუთვნილი ***სასამართლოსთვის მომართვის სტანდარტული ფორმები და ასევე ბავშვის უფლებათა კოდექსით გათვალისწინებული სასამართლოსთვის მომართვის ფორმები.***

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოში სერვისების მიწოდების გაუმჯობესების მიზნით ***დამონტაჟდა მეორე ეკრანი.*** კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების ღიობის თავზე მოწყობილი ეკრანზე გადის საინფორმაციო ვიდეორგოლები, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის განკუთვნილ სივრცესთან მოწყობილი მონიტორი უზრუნველყოფს ჩანიშნული სხდომების თაობაზე მოქალაქეთა ინფორმირებას.

რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოში თარგმნის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, კონტრაქტორ სათარჯიმნო ბიუროს ეთხოვა მოსამართლის მიერ სხდომაზე განსამარტი საკანონმდებლო დანაწესების: აზერბაიჯანულ, თურქულ, რუსულ, ინგლისურ, არაბულ, სომხურ, სპარსულ და ჩინურ ენებზე მომზადება, რომლის ეგზემპლარებიც სათარჯიმნო ბიუროდან მოწვეულმა თარჯიმნებმა თან უნდა იქონიონ. 2023 წლის 21 დეკემბერს, მოწოდებულ იქნა რა მითითებულ ენებზე ***წათარგმნი განმარტებები,*** სხდომის მიმდინარეობისას რაიმე სახის შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, ასევე განთავსდა რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ყველა სხდომის დარბაზში, რომელიც საჭიროების შემთხვევაში გადაეცემა სხდომაზე გამოცხადებულ თარჯიმანს.

Does the accused admit his/her guilt, and if so, do you admit being guilty in what?
The accused's position....
Have the parties reached for the procedure agreement or are they negotiating?
(Article 230 Part 3 of the Criminal Procedure Code of Georgia)
The parties' position....
Do the parties have any motions provided for in Article 239 of the Criminal Procedure Code of Georgia regarding the submission of additional evidence or the obtaining of essentially new evidence during the case's essential review?

მოწმის/დაზარალებულის უფლებები და მოვალეობები დაკითხვის დაწყებამდე

Rights and Obligations of a Witness/Victim before the Beginning of the Interrogation

The court shall identify the witness (name, surname, year, month, and date of birth, citizenship, registration address and the address of actual residency)
I explain to you your rights and obligations (Article 49). Namely:
You have the right
- To know what case you have been called for
- If you do not speak or speak insufficiently the criminal procedure language, you have the right to testify in your native language or any other language you wish and to have an interpreter provided at the state expense

WWW.DELTA.ORG.GE



Прокурорის აცილება

Отвод прокурора

Мотивы для отвода прокурора согласно статье 59-й Уголовно-процессуального кодекса Грузии:

Разъяснение сторонам основания и порядок отвода прокурора, предусмотренные статьей 59 УПК Грузии, в в частности:

прокурор не может участвовать в уголовном процессе, если:

а) он не был назначен или избран на должность в порядке, установленном законом;

б) он участвует или участвовал ранее в данном деле в качестве обвиняемого, адвоката, потерпевшего, эксперта, переводчика или свидетеля;

в) он является членом семьи или близким родственником обвиняемого, адвоката, потерпевшего,

г) они являются членами одной семьи из ближайших друг другу родственников;

д) имеются иные обстоятельства, вызывающие сомнения в его объективности и беспристрастности.

კოვიდ-19-ით გამოწვეული პანდემიური ვითარების სტაბილიზაციის შედეგად, სასამართლოს მუშაობის ჩვეულ რეჟიმში აღდგენის პირობებში საქმეებზე ***შემაჯამებელი გადაწყვეტილებების (გადაწყვეტილება, განაჩენი) მომზადების ვადების ეფექტური კონტროლის მიზნით,*** შეიქმნა რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს თითოეული მოსამართლის აპარატისთვის განკუთვნილი ინდივიდუალური ელექტრონული (Exel – ფაილი) ე.წ. ***ვადების გამომთვლელი პროგრამა*** და რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2023 წლის 23 იანვრის №73/თ ბრძანებით განისაზღვრა მისი გამოყენების ცალკეული ორგანიზაციული საკითხები.



რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს განსჯადობას მიკუთვნებულ საქმეებზე, ***სააპელაციო საჩივრების შემოსვლის შემთხვევაში, საქმეთა თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაგზავნის ვადების ეფექტური კონტროლის მიზნით,*** შეიქმნა თითოეული მოსამართლის აპარატისთვის განკუთვნილი ინდივიდუალური ელექტრონული (Exel – ფაილი) ე.წ. ***ვადების გამომთვლელი პროგრამა*** და რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2023 წლის 23 იანვრის №73/თ ბრძანებით განისაზღვრა ცალკეული ორგანიზაციული საკითხები.



ნაფიც მსაჯულთა სასამართლო

2023 წელს, რუსთავის საქალაქო სასამართლოში 4 სისხლის სამართლის საქმე იქნა განხილული ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით. 2 საქმეზე მიღებულ იქნა გამამართლებელი, ხოლო 2 საქმეზე გამამტყუნებელი ვერდიქტი.

საყურადღებოა აღინიშნოს, რუსთავის საქალაქო სასამართლოში გასულ წლებში გადადგმული და წარმატებით დანერგილი არაერთი პროექტი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან მიმართებით, რამაც შესაძლებელი გახადა, 2023 წელს, რუსთავის საქალაქო სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით ჩატარებული სხდომები ჩატარებულიყო შეუფერხებლად, უფრო მეტიც, აღსანიშნავია, ნაფიც მსაჯულთა მიერ, სხდომის შემდეგ დაფიქსირებული მოსაზრებები და განწყობები, რომელთაც აღნიშნეს, რომ უკეთ გაიაზრეს ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის მნიშვნელობა, პოზიტიურად შეეცვალათ განწყობები სასამართლოს მიმართ, ამასთან, მათი მხრიდან დადებითად იქნა შეფასებული რუსთავის საქალაქო სასამართლოში არსებული გარემო-პირობები და ჩატარებული სხდომების ორგანიზაციული საკითხები.

- ✓ რუსთავის საქალაქო სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა სხდომის დარბაზში, ნაფიცი მსაჯულებისთვის განკუთვნილი ადგილები განთავსებულია სხდომის თავმჯდომარე - მოსამართლის მოპირდაპირედ. ნაფიც მსაჯულთა ამგვარი განლაგება ნაფიც მსაჯულებს შესაძლებლობას აძლევს შეუფერხებლად, პირდაპირი ხედით თვალი ადევნონ მოწმის (მათ შორის ტექნიკური საშუალებით დისტანციური წესით) დაკითხვის პროცესს. სხდომის დარბაზში გათვალისწინებულია ნაფიც მსაჯულთათვის მტკიცებულებების საპრეზენტაციო ეკრანი, ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა შესარჩევი კომპიუტერული ტექნიკა, მატერიალური მტკიცებულებების გამოსაკვლევი მაგიდა, მოწმეების დისტანციური დაკითხვის ტექნიკური საშუალებები, ასევე პრესისთვის განკუთვნილი სპეციალური ადგილი. ნაფიც მსაჯულთა სხდომის დარბაზის ამგვარი მოწყობა გამორიცხავს ნაფიცი მსაჯულების სახეების ფოტო-ვიდეო გადაღებას და მათ პიროვნულ კონფიდენციალურობას გარეშე პირებისთვის, ასევე გამორიცხავს რაიმე სახის უკანონო კომუნიკაციას ან/და ემოციურ ზეგავლენას სხდომის დარბაზში მყოფი დამსწრე მოქალაქეებისგან. ნაფიც მსაჯულთა მეტი უსაფრთხოებისთვის, ნაფიცი მსაჯულების განსათავსებელი სივრცე დარბაზის დანარჩენი ნაწილისგან გამიჯნულია დაჯავშნული შუშით.

- ✓ რუსთავის საქალაქო სასამართლოში მოწყობილია სათანადო ტექნიკით აღჭურვილი ნაფიც მსაჯულთა სათათბირო და სასადილო ოთახები. ნაფიც მსაჯულთა სათათბირო ოთახი აღჭურვილია საპრეზენტაციო დაფით, პროექტორით, მონიტორით, პორტატული კომპიუტერით და სასამართლოს სპეციალისტის გამოსაძახებელი ღილაკით. ნაფიცი მსაჯულებისთვის სასადილო ოთახში ხელმისაწვდომია მხოლოდ მათი სარგებლობისთვის განკუთვნილი წყლის მადუღარა, ტოსტერი, მიკროტალღული ღუმელი და მაცივარი.

ნაფიც მსაჯულთა სათათბირო ოთახი

ნაფიც მსაჯულთა სასადილო ოთახი

- ✓ რუსთავის საქალაქო სასამართლს შენობის ადმინისტრაციულ ნაწილში არსებულ ბიბლიოთეკაში დამონტაჟებულია ტელევიზორი, რომლითაც სათადარიგო ნაფიც მსაჯულებს (ძირითადი ნაფიცი მსაჯულების თათბირის დროს), შეუძლიათ უყურონ სატელევიზიო გადაცემებს, გარდა განსახილველ საქმესთან დაკავშირებული გადაცემებისა. გარდა ამისა, შეუძლიათ ისარგებლონ სასამართლოს ბიბლიოთეკის სივრცით, სადაც შეუძლიათ გაეცნონ სასამართლოში არსებულ სამართლებრივ ბიბლიოთეკას, ოფიციალური დელეგაციების მიერ სასამართლოსათვის გადაცემულ სამახსოვრო საჩუქრებს, ასევე მოსამართლეთა და სასამართლოს მოხელეთა ავტორობით/მონაწილეობით შექმნილ ნივთებს, სურათებს, ნაქარგებს და სხვა.



- ✓ რუსთავის საქალაქო სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სხდომის დარბაზის შესასვლელში განთავსებულია ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებისთვის განკუთვნილი საინფორმაციო ბანერი.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს

ნაფიც მსაჯულთა სხდომის დარბაზის შესასვლელში არსებული ბანერი



- ✓ ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის მიმდინარეობისას, მსაჯულობის კანდიდატის სხდომის თავმჯდომარესთან კონფიდენციალური კომუნიკაციისას, რუსთავის საქალაქო სასამართლო 2022 წლიდან იყენებს ხმის ჩამხშობ მოწყობილობას AJ-34 (ხმის ჩამხშობი).

კონფიდენციალური საუბრისას, არაუფლებამოსილი პირებისთვის საუბრის ზუსტი შინაარსის სმენადობის თავიდან ასარიდებლად განკუთვნილი მოწყობილობა

ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესის გაადვილების და მსაჯულობის კანდიდატებისთვის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან დაკავშირებული ინფორმაციის მეტად ხელმისაწვდომობის მიზნით, ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებისთვის გასაგზავნ უწყებაზე დატანილია QR კოდი, რომლის მეშვეობითაც მომხმარებელს ეძლევა შესაძლებლობა პირდაპირ შევიდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს ვებ გვერდის (www.court.ge) ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან დაკავშირებულ გვერდზე, სადაც განთავსებულია ამ ინსტიტუტით დაინტერესებულ პირთათვის სასარგებლო ინფორმაცია, მათ შორის აუდიო ვერსიის სახით.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატისთვის გასაგზავნი უწყება

ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებისთვის განკუთვნილ უწყებაზე დატანილი QR კოდი

ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებისთვის კითხვარის შევსების გაადვილების მიზნით, რუსთავის საქალაქო სასამართლოს ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.court.ge) ხელმისაწვდომია კითხვარის შევსების ვიდეო - აუდიო მოდელი.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სხდომების ორგანიზებულად, შეუფერხებლად და საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად ჩატარების უზრუნველსაყოფად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2022 წლის 7 სექტემბრის №511/თ ბრძანებით განსაზღვრულია საორგანიზაციო საკითხები და ცალკეულ მოხელეთა მოვალეობები.

ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებისთვის კითხვარებისა და უწყებების ჩაბარების გაადვილებისა და მათთან ეფექტიანი კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2023 წლის 14 სექტემბრის №479/თ ბრძანებით შექმნილია საორგანიზაციო ჯგუფი და განსაზღვრულია ცალკეული საორგანიზაციო საკითხები.



USAID სამართლოს უზენაესობის პროგრამის და მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის - CEPEJ-ის ანგარიშები

რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ ტექნიკური და ინფრასტრუქტურული განვითარების თვალსაზრისით გაწეული სამუშაო, რომელიც მიზნად ისახავდა არასრულწლოვნებისა და განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისათვის სასამართლოს მაქსიმალურ ხელმისაწვდომობას და მოხერხებული გარემოს შექმნას, მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯებად უნდა შეფასდეს, რაც დასტურდება უცხოელი ექსპერტების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებში, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი:

USAID სამართლოს უზენაესობის პროგრამის ფარგლებში რუსთავის საქალაქო სასამართლოში 3 თვის განმავლობაში იმყოფებოდა ამერიკელი უფროსი მოსამართლე, ბატონი რობერტ ქეროლანი. ჩატარებული კვლევის შედეგების ანგარიშის მიხედვით:

,,ერთ-ერთი ფაქტი, რაც რუსთავის საქალაქო სასამართლოს პროგრესულ განვითარებაზე მეტყველებს არის ის, თუ რამდენად დაწინაურდა ტექნოლოგიების გამოყენებაში. კოვიდ პანდემიამ (COVID 19) აიძულა სახელმწიფო ბიუროკრატია, რომ მოეძებნა საზოგადოების ჩართულობისა და ზოგადად, მათი საქმიანობის ალტერნატიული მეთოდები და ამ მხრივ, სასამართლო განსაკუთრებით წარმატებულია“.

„სასამართლოში პირველივე დღის განმავლობაში დავინახე, თუ როგორ გამოიყურება ტექნოლოგიები ეთნიკური უმცირესობების, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ადამიანებისა და თარჯიმნებისთვის. ეს ემსახურება სასამართლო სისტემის ეფექტურობისა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. ნამდვილად აღსანიშნავია თავმჯდომარის განსაკუთრებული ძალისხმევა რუსთავის საქალაქო სასამართლოს განვითარების კუთხით, მათ შორის სპეციალური ოთახი მოწმე ბავშვებისთვის და მომრიგებელი მხარეებისთვის.“

2023 წლის 25 მაისს, „სასამართლოს მენეჯმენტის მოდერნიზაციის ხელშეწყობა საქართველოში“ პროექტის ფარგლებში, რუსთავის საქალაქო სასამართლოს ეწვივნენ მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის - CEPEJ-ის ექსპერტები. მათი ანგარიშის მიხედვით:

„სასამართლოში ვიზიტის შედეგად CEPEJ-ის გუნდმა ღირებული ინფორმაცია მიიღო სასამართლოს მიერ მისი მომხმარებლებისთვის მიწოდებული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით უკვე გატარებული და წარმატებული ზომების შესახებ.

კერძოდ, ეს ზომები მოიცავს შემდეგს:

- გამართული მოქალაქეთა მისაღები
- გამათულად მომუშავე მოქალაქეთა მომსახურების ცენტრი
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სასამართლო შენობაზე წვდომის ინფრასტრუქტურის არსებობა

- მოქალაქეებისთვის ცხელი ხაზის არსებობა ინფორმაციის მოსაძიებლად და თავიანთ საქმეებთან დაკავშირებით განმარტებების მისაღებად
- საქმეებზე წვდომის შესაძლებლობა პირადად და ონლაინ
- ჯიხურის უზრუნველყოფა ადვოკატ-კლიენტის კონფიდენციალური კომუნიკაციისთვის
- ბავშვებისთვის განკუთვნილი ოთახისა და საბავშვო კუთხის არსებობა
- საინფორმაციო დაფების არსებობა, სადაც ნაჩვენებია შესაბამისი ინფორმაცია მიმდინარე სასამართლო პროცესების შესახებ
- სათანადო ნიშნების არსებობა სასამართლოს შენობაში ორიენტაციისთვის
- სასამართლოს მისაღებში სხვადასხვა ენაზე კომუნიკაციის ინსტრუმენტების უზრუნველყოფა
- მედიაციის სესიებისთვის სივრცის არსებობა.

ჩამოთვლილთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ადვოკატის-კლიენტის პრივილეგიის დასაცავად ჯიხურის უზრუნველყოფა, რადგანაც ეს ადასტურებს სასამართლოს მზაობას განახორციელოს საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები და მუდმივად გააუმჯობესოს მომსახურების ხარისხი.“

„მსგავსი ღონისძიებების განხორციელებამ შეიძლება ხელი შეუწყოს საერთო ოპერაციების გაუმჯობესებას, საზოგადოების ნდობის გაძლიერებას, და უფრო ეფექტური და ეფექტიანი მართლმსაჯულების სისტემის ჩამოყალიბებას.“

„მთლიანობაში, რუსთავის საქალაქო სასამართლოს მომსახურების ხარისხი უაღრესად მისასალმებელია, და ეს ხელს უწყობს სტანდარტის დანერგვას, რომელიც უნდა იყოს აღიარებული.“

„რუსთავის საქალაქო სასამართლო არის ერთ-ერთი სამაგალითო მოდელი ქვეყნის შიგნით ელექტრონული დისტანციური სასამართლო სხდომების ეფექტურად გამოყენების თვალსაზრისით. სასამართლო პროცესის დისტანციურად წარმართვის, ან სასამართლოს სპეციალურ სივრცეებში პროცესების გამართვის ეს პროგრესული მიდგომა (მაგალითად, ჯიხური საქმეების ელექტრონული საშუალებებით მოსმენის გასამართად) რამდენიმე მნიშვნელოვან სარგებელს სთავაზობს, და საჭიროა ამ წესით მუშაობის არა მხოლოდ გაგრძელდება, არამედ ამ მიდგომის უფრო გაფართოებული გამოყენება. აუცილებელია ამ პრაქტიკის უპირატესობების აღიარება და მისი შემდგომი განვითარების ხელშეწყობა.“

„CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების გათვალისწინებით, რუსთავის საქალაქო სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოს, რომ ელექტრონული დისტანციური სასამართლო განხილვები იყოს არა მხოლოდ ეფექტური, არამედ ასევე მოწინავე ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში. ასეთი თანხვედრა განამტკიცებს სასამართლოს მიერ აღებულ ვალდებულებას განახორციელოს მართლმსაჯულება ისეთი გზით, რომ იგი იყოს თანამედროვე, ხელმისაწვდომი და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი.“

გარდა 2023 წელს განხორციელებული, ზემოთ ნახსენები არაერთი პროექტისა, ანგარიშებში მითითებულია რა რუსთავის საქალაქო სასამართლოში მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გატარებული და წარმატებული ზომების შესახებ, თვალსაჩინოებისთვის აღსანიშნავია შემდეგი საკითხები:

სასამართლო სხდომების შეუფერხებლად ჩატარების უზრუნველსაყოფად, რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ყველა სხდომის დარბაზი აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით და ყველა საჭირო ელექტრონული პროგრამებით, რომელიც უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში სასამართლო სხდომების დისტანციურ რეჟიმში შეუფერხებლ წარმოებას, სხდომის უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობის პარალელურად შესაძლებელია:

- ✓ ვიდეო და ელექტრონული მტკიცებულებების გამოკვლევა;
- ✓ პროცესის მონაწილეთა დისტანციური ჩართვა;
- ✓ ბავშვზე მორგებულ გარემოში მყოფი არასრულწლოვნის და თანმხლები კანონიერი წარმომადგენლის, ადვოკატის და ფსიქოლოგის სხდომაში მონაწილეობა;
- ✓ ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა სიის შერჩევა;
- ✓ დოკუმენტების ასლის გადაღება;
- ✓ დოკუმენტების დასკანერება;
- ✓ დოკუმენტების ამობეჭდვა.

2022 წლის თებერვლის თვიდან, რუსთავის საქალაქო სასამართლოს ფოიეში მოწყობილია მცირე საოფისე სივრცე, რომელიც აღჭურვილია ინდივიდუალური სავენტილაციო, ელექტრო და ინტერნეტ ქსელებით. საოფისე სივრცის კედლები დაფარულია ხმის დამხშობი ზედაპირით, რაც უზრუნველყოფს საოფისე სივრცეში მყოფი პირის მაქსიმალურ მყუდროებას და ამასთან, შეუძლებელს ხდის მისი ხმოვანი აქტივობების სმენადობას საოფისე სივრცის გარეთ მყოფი პირებისთვის.

აღნიშნულ საოფისე სივრცეში განთავსებული კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით შესაძლებელია:

- ✓ საოფისე სივრციდან სხდომის დარბაზში მოწმეების დისტანციური დაკითხვა;
- ✓ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის განუხრელად შესრულებისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის წარმოებაში არსებულ საქმეებში დაზარალებულთა (და მათი ოჯახის წევრების) უსაფრთხოებისა დაცვის უზრუნველსაყოფად, მცირე საოფისე სივრციდან დისტანციური დაკითხვა;
- ✓ დისტანციურად მიმდინარე სხდომებში სასამართლოს შენობაში მყოფი თარჯიმნის ჩართვა;
- ✓ ადვოკატსა და სხდომაში დისტანციურად მონაწილე ბრალდებულს შორის კონფიდენციალური კომუნიკაცია, რომლის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზეც ხაზგასმულ იქნა CEPEJ-ის ანგარიშში.
- ✓ რუსთავის საქალაქო სასამართლოში გამოცხადებული მხარეების ჩართვა სხვა სასამართლოებში მიმდინარე დისტანციურ სხდომებში.

მცირე საოფისე სივრცე აღჭურვილია ყველა საჭირო ელექტრონული პროგრამით (meet.court.ge, webex, zoom, skype).

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ფოიეში მოწყობილი მცირე საოფისე სივრცე

მცირე საოფისე სივრცე აღჭურვილია მცირე მხედველი და წერა-კითხვის არ მცოდნე პირებისთვის რუსთავის საქალაქო სასამართლოში მოქმედი ელექტრონული პროგრამებით.

კერძოდ, ელექტრონული პროგრამების საშუალებით მცირემხედველ და წერა-კითხვის არმცოდნე პირებს ეძლევათ შესაძლებლობა, დამოუკიდებლად, მხოლოდ ქართულ ენაზე ხმოვანი გამოხატვით შეადგინონ სასამართლოსთვის მიმართვის მათთვის სასურველი განცხადებები (ელექტრონული პროგრამა: „recognizer“) და ასევე ხმოვანი ბრძანებით გაგზავნონ ისინი სასამართლოს კანცელარიის ელექტრონულ მისამართზე. ამასთან, იმის დასტურად, რომ მცირე საოფისე სივრციდან რუსთავის საქალაქო სასამართლოში ნამდვილად გადაიგზავნა ელექტრონული განცხადება, მცირე მხედველ ან/და წერა კითხვის არ მცოდნე პირს, ელექტრონული განაცხადით სასამართლოს კანცელარიისთვის მიმართვისას, მის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე ეგზავნება მოკლე ტექსტური შეტყობინება (SMS).

მეორე ელექტრონული პროგრამა (reader) მცირემხედველ ან წერა-კითხვის არმცოდნე პირებს აძლევთ შესაძლებლობას, გაეცნონ (ხმოვანი ტრანსლაციით) მათთვის განკუთვნილ სასამართლოს ელექტრონულ დოკუმენტაციას.

მცირემხედველ და წერა-კითხვის არმცოდნე პირებს ასევე აქვთ შესაძლებლობა, მოთხოვნის შემთხვევაში მიიღონ მითითებული ელექტრონული პროგრამების გამოყენების ამსხაველი აუდიო ჩანაწერი - CD დისკზე.

კანცელარიის სარკმელთან მოწყობილი კომპიუტერული ტექნიკა მოდერნიზებულია იმგვარად, რომ აღნიშნული სერვისებით შეუფერხებლად სარგებლობა შესაძლებელია ასევე გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოში, ინდივიდუალური ყურსასმენებისა და მიკროფონის გამოყენებით.

ელექტრონული პროგრამები „reader” და „recognizer”





რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს შენობების წინ მოწყობილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის განკუთვნილი ავტოსადგომები.

რუსთავის საქალაქო სასამართლო

გარდაბნის მაგისტრატი სასამართლო

უსინათლო/მცირემხედველი პირებისთვის რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს შენობის და შესათავაზებელი სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, შიდა და გარე სივრცეებზე განთავსებულია კონტრასტული ფერის გზამკვლევი ნიშნულები და ტაქტილური ბილიკები.

რუსთავის საქალაქო სასამართლო

გარდაბნის მაგისტრატი სასამართლო

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის სასამართლოს ხელმისაწვდომობის გაზრდის უზრუნველსაყოფად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს ფოიეში ეტლით მოსარგებლე პირთათვის, რეკომენდაციებით დადგენილ სიმაღლეზე მოწყობილია კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღებ განყოფილებასთან საკომუნიკაციო ღიობი, სამუშაო მაგიდით, ხოლო შენობის ფართის სიმცირის გათვალისწინებით, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს ფოიეში მოწყობილია ტრანსფორმერი სამუშაო მაგიდა, რომლის უფრო მოხერხებული სარგებლობისთვის მოწყობილია ასევე დამატებითი განათება.

რუსთავის საქალაქო სასამართლო

გარდაბნის მაგისტრატი სასამართლო

სმენა დაქვეითებული პირებისთვის, ასევე ხალხმრავალ სხდომებზე თარჯიმნის მომსახურების საჭიროების მქონე პირთა უფლებებისა და ამასთან, სხდომის დარბაზში წესრიგის მაქსიმალურად დაცვის უზრუნველსაყოფად, რუსთავის საქალაქო სასამართლოში დანერგილია, ხმის მიმღებ - გადამცემი პორტატული სისტემის გამოყენების პრაქტიკა.

ხმის მიმღებ - გადამცემი სისტემა

სასამართლო მედიაცია

2023 წელს, რუსთავის საქალაქო სასამართლოში სასამართლო მედიაციას გადაეცა 62 საქმე (34 საქმით მეტი ვიდრე 2022 წელს) და დასრულდა 59 საქმე. სასამართლო მედიაციას გადაცემული საქმეებიდან 29 საქმე (49.2%) დასრულდა მხარეთა შეთანხმებით.



შეხვედრები

2023 წლის 4 ოქტომბერს, გაეროს მუდმივი კოორდინატორი საქართველოში, საბინე მახლი რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს, მამია ფხაკაძეს შეხვდა და სასამართლოს შენობაში სათანადო ტექნიკური მოწყობილობებით აღჭურვილ ბავშვზე მორგებული გამოკითხვის ოთახს გაეცნო.

2023 წლის 26 დეკემბერს, რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ, ქალბატონმა ეკატერინე პართენიშვილმა ქ. რუსთავის №22 საჯარო სკოლაში გასვლითი საჯარო ლექცია გამართა. განხილულ იქნა მოსწავლეებისთვის ისეთი საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის: ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი; არასრულწლოვანთა დანაშაული; ქართულ - ამერიკული სასამართლო მოდელები; ნაადრევი ქორწინება; მოსამართლის პროფესია და სხვ.

2023 წლის 30 მაისს, რუსთავის საქალაქო სასამართლოს, ქ. რუსთავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის №11 საჯარო სკოლის მოსწავლეები სტუმრობდნენ.

მოსწავლეები გაეცნენ რუსთავის საქალაქო სასამართლოში განხორციელებულ პროექტებს: სასამართლოში შექმნილ ბავშვზე მორგებულ გარემოს, სასამართლოს ფოიეში მოწყობილ მცირე საოფისე სივრცეს, სასამართლოს მომხმარებელებისათვის მოქალაქეთა მისაღებში არსებულ სერვისებს და სხვ.

2023 წლის 11 მაისს, სასამართლომ რუსთავის 22-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებს უმასპინძლა.

მოსწავლეებმა სასამართლოს შენობა და სხდომის დარბაზები დაათვალიერეს. შეხვედრისას მიიღეს ინფორმაცია მათთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე, მათ შორის ისაუბრეს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შესახებ.

2023 წლის 20 დეკემბერს, რუსთავის საქალაქო სასამართლომ ქ. რუსთავის „ინოვაციების სკოლის“ მოსწავლეებს უმასპინძლა. სკოლის მოსწავლეებმა სასამართლოს შენობა დაათვალიერეს, რომელთაც სასამართლოს თავმჯდომარის სამახსოვრო წერილთან ერთად, საჩუქრები გადაეცათ.

გამოცემული ბრძანებების შესახებ

2023 წელს, რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ გამოცემულ იქნა 760 ბრძანება (36 ბრძანებით მეტი, ვიდრე 2023 წელს), ხოლო სასამართლოს მენეჯერის მიერ გამოცემულ იქნა 55 ბრძანება, რომელთაგან არცერთი არ გასაჩივრებულა.

დისციპლინური წარმოებების შესახებ

2023 წელს, 14 შემთხვევაზე დაიწყო დისციპლინური წარმოება. დასრულდა 13 წარმოება, ხოლო ერთ ფაქტზე მიმდინარეობს დისციპლინური წარმოება.

დასრულებული 13 წარმოებიდან, 9 შემთხვევაში პირს დაედო დისციპლინური სახდელი, რომელთაგან არცერთი არ გასაჩივრებულა.



მოხელეთა წახალისება

2023 წელს, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის საფუძველზე, 6 მოხელეს გამოეცხადა მადლობა და გადაეცა რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2019 წლის 23 იანვრის №39/თ ბრძანებით დამტკიცებული „მადლობის სიგელი“.

საშტატო ნუსხა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 14 დეკემბრის №1/125 განკარგულებით, რუსთავის საქალაქო სასამართლოს ***საშტატო ნუსხას დაემატა ერთი მოსამართლის თანაშემწის და ერთი სხდომის მდივნის თანამდებობა.***

2024 წლის 01 იანვრის მდგომარეობით მოსამართლეთა და აპარატის თანამშრომელთა საშტანო ნუსხა შემდეგნაირად გამოიყურება:

სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია - 5

სამოქალაქო საქმეთა კოლეგია - 4

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია - 2

მაგისტრატი მოსამართლე - 2



მაგისტრი მოხელე - 1

სასამართლოს მენეჯერი - 1

მთავარი კონსულტანტი - მოსამართლის თანაშემწე - 2

მოსამართლის თანაშემწე - 11

სხდომის მდივანი - 11

კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების უფროსი - 1

კონსულტანტი სასამართლო მედიაციის საკითხებში - 1

სპეციალისტი ნაფიც მსაჯულთა საორგანიზაციო საკითხებში - 1

კანცელარიის წამყვანი სპეციალისტი - 1

კანცელარიის სპეციალისტი - 3

მანდატურის სამსახურის უფროსი - 1

მანდატურის სამსახურის მანდატური - 8

მაგისტრატი მოსამართლის აპარატის სხდომის მდივანი - 2

მაგისტრატი მოსამართლის აპარატის სპეციალისტი - 1

მაგისტრატი მოსამართლის აპარატის მანდატური - 2

მაგისტრი მოხელის სხდომის მდივანი - 1

2024 წლის 01 იანვრის მდგომარეობით ვაკანტურია:

სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის - 1 საშტატო ერთეული;

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის - 1 საშტატო ერთეული;

მოსამართლის თანაშემწის - 1 საშტატო ერთეული;

სხდომის მდივნის - 1 საშტატო ერთეული;

სპეციალისტის ნაფიც მსაჯულთა საორგანიზაციო საკითხებში - 1 საშტატო ერთეული.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოში დასაქმებულია 45 პროფესიული საჯარო მოხელე.

გენდერულ ჭრილში, რუსთავის საქალაქო სასამართლოში დასაქმებულ მოხელეთა რაოდენობა შემდეგნაირად გამოიყურება:

მამაკაცი - 16 (35.6%);

ქალი - 29 (64.4%).



გამოცხადებული კონკურსები

2023 წელს, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართელოს კანონის და ,,საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ” საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების მე-2 (ღია და დახურული კონკურსი) და 2[1] (შიდა კონკურსი) თავებით დადგენილი წესით, რუსთავის საქალაქო სასამართლოში, სხვადასხვა ვაკანტური თანამდებობების შევსების მიზნით ***ჩატარდა 16 კონკურსი.***

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართელოს კანონის და ,,საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ” საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების მე-3 (გამარტივებული კონკურსი) თავით დადგენილი წესით, რუსთავის საქალაქო სასამართლოში ***ჩატარდა 2 კონკურსი.***

3 შემთხვევაში გამოყენებულ იქნა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 47-48-ე მუხლებით (მოხელის გადაყვანა) დადგენილი დანაწესები და 3 მოხელე გადაყვანილ იქნა იმავე იერარქიული რანგისა და თანამდებობის შესაბამის თანამდებობაზე (ჰორიზონტალური გადაყვანა).

2023 წელს, რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოებში ***ჩატარდა 7 სტაჟირების კონკურსი.*** კონკურსის საფუძველზე მიღებულ იქნა 15 სტაჟიორი.

მადლობის წერილები

2023 წლის 6 ნოემბერს, რუსთავის საქალაქო სასამართლომ მადლობის წერილი მიიღო. მოქალაქე მადლობას უხდის მანდატურის სამსახურის თანამშრომლებს გამოჩენილი ყურადღებისთვის და კეთილგანწყობისთვის.



2023 წლის 6 ნოემბერს, რუსთავის საქალაქო სასამართლომ მიიღო მოქალაქის გამოხმაურება 2023 წლის 27 ოქტომბერს, ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ ბლოგთან დაკავშირებით, რომელიც ასევე ხაზს უსვამს მანდატურის სამსახურის თანამშრომლის მაღალ კვალიფიკაციასა და კეთილგანწყობილებაზე.



სასამართლოს თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევა

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის - CEPEJ-ის მიერ გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე, რუსთავის საქალაქო სასამართლოში 2023 წლის 9 ოქტომბრიდან - 7 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში ჩატარდა სასამართლოს თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევა.

სულ შევსებულ იქნა 42 კითხვარი.

სასამართლოს თანამშრომლებს, 1-დან 5-მდე ქულით უნდა შეეფასებინათ, რამდენად ეთანხმებიან ქვემოთ წარმოდგენილ წინადადებებს, სადაც 1 ნიშნავს„საერთოდ არ ვეთანხმები“, 5 ნიშნავს „სრულად ვეთანხმები“, ხოლო 6 ნიშნავს „არ ვიცი“.

ჩატარებული კმაყოფილების კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი:

ზოგადი კმაყოფილება:

- ✓ გამოკითხულთა 81%-მა დააფიქსირა, რომ კმაყოფილია მისი სამსახურით;
- ✓ გამოკითხულთა 88.1%-მა დააფიქსირა, რომ მოსწონს მისი სამსახურის შინაარსობრივი მხარე;
- ✓ გამოკითხულთა 81% ამაყოფს, რომ მუშაობს ამ სასამართლოში;
- ✓ გამოკითხულთა 73.8%-მა მიუთითა, რომ კმაყოფილია მისი პროფესიული განვითარებით;
- ✓ გამოკითხულთა 78.6%-მა დააფიქსირა, რომ დასაქმებულებს წინსვლის რეალური შესაძლებლობები აქვთ;
- ✓ გამოკითხულთა 47.6% მიიჩნევს, რომ მისი ხელფასი მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესაბამისია;
- ✓ გამოკითხულთა 45.2% კმაყოფილია მისი ხელფასით;
- ✓ გამოკითხულთა 47.6%-მა დააფიქსირა, რომ როდესაც დამატებითი მოვალეობები ეკისრება, ეს შესაბამისად აისახება მის ხელფასზე;
- ✓ გამოკითხულთა 78.6% მიიჩნევს, რომ ინფორმაციის გაცვლის პროცესი, მთლიანობაში, კარგად მიმდინარეობს;
- ✓ გამოკითხულთა 85.7%-მა აღნიშნა, რომ მის ორგანოზაციულ ერთეულში ინფორმაციის გაცვლის პროცესი კარგად მიმდინარეობს;
- ✓ გამოკითხულთა 95.2%-მა დააფიქსირა, რომ მისთვის დროულად არის ხელმისაწვდომი ყველა ის ინფორმაცია (რეგულაციები, კანონები, მითითებები) რომელიც მუშაობისთვის ესაჭიროება;
- ✓ გამოკითხულთა 90.5% აღნიშნავს, რომ ინფორმაცია, რომელსაც იღებს, არის გასაგები;
- ✓ გამოკითხულთა 85.7% მიიჩნევს, რომ თანამშრომლებს და ხელმძღვანელ პირებს საკმარისი რეგულარულობით ხვდება პრობლემების, ინოვაციების და მიზნების მიღწევასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად.

სამუშაო მოწყობილობები:

- ✓ გამოკითხულთა 76.2%-მა დააფიქსირა, რომ მისთვის ხელმისაწვდომია ყველა საშუალება იმისათვის, რომ საქმე კარგად შეასრულოს;
- ✓ გამოკითხულთა 78.6% მიიჩნევს, რომ სამუშაო სივრცეები არის ადეკვატური (ოთახი, ავეჯი);
- ✓ გამოკითხულთა 81% მიიჩნევს, რომ აპარატურა (კომპიუტერები და სხვა ტექნოლოგიური აღჭურვლობა) არის ადეკვატური;
- ✓ გამოკითხულთა 78.6% მიიჩნევს, რომ პროგრამული უზრუნველყოფა (კომპიუტერული პროგრამები და აპლიკაციები) არის ადეკვატური.

სამსახურეობრივი ურთიერთობები:

- ✓ გამოკითხულთა 61.9%-მა დააფიქსირა, რომ თანამშრომლებს ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა აქვთ;
- ✓ გამოკითხულთა 66.7% აღნიშნავს, რომ მისი ორგანიზაციული ერთეულის თანამშრომლები ერთმანეთთან ეფექტურად თანამშრომლობენ;
- ✓ გამოკითხულთა 64.3%-მა დააფიქსირა, რომ მის ორგანიზაციულ ერთეულში სამუშაო ატმოსფერო აძლევს მოტივაციას, რომ უკეთ იმუშაოს;
- ✓ გამოკითხულთა 66.7% მიიჩნევს, რომ მისი ორგანიზაციული ერთეული სხვა ერთეულებთან ეფექტურად თანამშრომლობს;
- ✓ გამოკითხულთა 64.3% აღნიშნავს, რომ სათანადოდ ფასდება მის მიერ სამსახურში გაწეული ძალისხმევა;
- ✓ გამოკითხულთა 81%-მა დააფიქსირა, რომ ხელმძღვანელები თანაბარ შესაძლებლობებს აძლევენ წინსვლისთვის;
- ✓ გამოკითხულთა 92.9%-მა დააფიქსირა, რომ ხელმძღვანელთა დამოკიდებულება მის მიერ არის პატივისცემაზე დაფუძნებული;
- ✓ გამოკითხულთა 92.9% მიუთითებს, რომ ხელმღვანელები საკმარის ინფორმაციას აწვდიან ორგანიზაციული ერთეულის საქმიანობის მიმართულებებს, მიზნებს და ფუნქციებს;
- ✓ გამოკითხულთა 90.5%-მა დააფიქსირა, რომ აქვს საკმარისი შესაძლებლობა, რათა ხელმძღვანელს გააცნოს მისი შეხედულებები, ინიციატივები და რეკომენდაციები;
- ✓ გამოკითხულთა 78.6% მიიჩნევს, რომ მის ორგანიზაციულ ერთეულში აქვს შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს სამუშაო შედეგების გაუმჯობესების მიღწევაში;
- ✓ გამოკითხულთა 83.3%-მა დააფიქსირა, რომ მის ორგანიზაციულ ერთეულში აქტიურ მონაწილეობას იღებს სამუშაო შედეგების გაუმჯობესებაში;
- ✓ გამოკითხულთა 76.2% მიიჩნევს, რომ მის წინადადებებს გაუმჯობესების შესახებ ითვალისწინებენ ან აწვდიან ინფორმაციას, თუ რატომ არის მისი წინადადების განხორციელება შეუძლებელი;
- ✓ გამოკითხულთა 97.6%-მა დააფიქსირა, რომ იცნობს მის სამსახურეობრის მოვალეობებს;
- ✓ გამოკითხულთა 100% თვლის, რომ შეუძლია კარგად შეასრულოს მისი დავალებები;
- ✓ გამოკითხულთა 95.2% მიიჩნევს, რომ სამუშაო ინსტრუქციები, რომელსაც მისი ხელმძღვანელი აძლევს, არის გასაგები;

- ✓ გამოკითხულთა 71.4%-მა დააფიქსირა, რომ მის ორგანიზაციულ ერთეულში თანამშრომლებს შორის დავალებები სათანადოდ არის განაწილებული;
- ✓ გამოკითხულთა 92.9% მიიჩნევს, რომ თავად შეუძლია გადაწყვიტოს, თუ როგორ შეასრულოს დავალება ყველაზე ეფექტურად;
- ✓ გამოკითხულთა 95.2%-მა დააფიქსირა, რომ თუ მინიჭებული უფლებამოსილება მის შესაძლებლობებს აჭარბებს, ვალდებულია ამის შესახებ ხელმძღვანელს დროულად შეატყობინოს;
- ✓ გამოკითხულთა 57.1% მიიჩნევს, რომ სასამართლოში თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები ურთიერთ დაბალანსებულია;
- ✓ გამოკითხულთა 54.8% კმაყოფილია სამუშაო საათებით;
- ✓ გამოკითხულთა 54.8% მიიჩნევს, რომ გარკვეულწილად, მისი სამუშაო დრო შეუძლია პირად ცხოვრებას მოარგოს;
- ✓ გამოკითხულთა 90.5% თვლის, რომ აქვს საკმარისი ცოდნა იმისთვის, რომ შეასრულოს მისი საქმიანობა;
- ✓ გამოკითხულთა 54.8%-მა დააფიქსირა, რომ შეუძლია დაესწროს მისი საქმიანობისთვის საჭირო, შესაბამის ტრეინინგებს;
- ✓ გამოკითხულთა 71.4% თვლის, რომ სასამართლოს თანამშრომლებს შორის ცოდნის გადაცემა ეფექტურად ხორციელდება;
- ✓ გამოკითხულთა 88.1% თვლის, რომ შეუძლია სამსახურში მისი ცოდნის და უნარების კარგად გამოყენება;
- ✓ გამოკითხულთა 54.8%-მა დააფიქსირა, რომ თანამშრომლობს სხვა სასამართლოების თანამშრომლებთან, კარგი პრაქტიკის და გამოცდილების გაზიარების კუთხით;
- ✓ გამოკითხულთა 45.2%-მა მიუთითა, რომ შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში შეიცვლიდა სამსახურს;
- ✓ გამოკითხულთა 54.8%-მა დააფიქსირა, რომ შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში შეიცვლიდა თანამდებობას.

2023 წელს საქმეთა განხილვის სტატისტიკური მონაცემები

რუსთავის საქალაქო სასამართლო			
№	წელი	შემოვიდა	დამთავრდა
სისხლი			
1	2023 წელი	932 (14 საქმით მეტი ვიდრე 2022 წელს)	918 (34 საქმით ნაკლები ვიდრე 2022 წელს)
აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობები			
1	2023 წელი	758 (1 შუამდგომლობით ნაკლები ვიდრე 2022 წელს)	758
საგამოძიებო მოქმედების კანონიერებასთან დაკავშირებული შუამდგომლობები			
1	2023 წელი	2152 (225 შუამდგომლობით მეტი ვიდრე 2022 წელს)	2152
ადმინისტრაციული			
1	2023 წელი	478 (5 საქმით მეტი ვიდრე 2022 წელს)	432 (19 საქმით ნაკლები ვიდრე 2022 წელს)
ადმინისტრაციული სამართალდარღვევები			
1	2023 წელი	560 (41 საქმით მეტი ვიდრე 2022 წელს)	544 (42 საქმით მეტი ვიდრე 2022 წელს)
სამოქალაქო			
1	2023 წელი	2799 (834 საქმით ნაკლები ვიდრე 2022 წელს)	2817 (1075 საქმით ნაკლები ვიდრე 2022 წელს)

გარდაბნის მაგისტრატი სასამართლო			
№	წელი	შემოვიდა	დამთავრდა
სისხლი			
1	2023 წელი	69 (38 საქმით ნაკლები ვიდრე 2022 წელს)	69
სამოქალაქო			
1	2023 წელი	770 (187 საქმით ნაკლები ვიდრე 2022 წელს)	892 (97 საქმით მეტი ვიდრე 2022 წელს)
ადმინისტრაციული			
1	2023 წელი	39 (12 საქმით მეტი ვიდრე 2022 წელს)	38 (9 საქმით მეტი ვიდრე 2022 წელს)
ადმინისტრაციული სამართალდარღვევები			
1	2023 წელი	868 (73 საქმით მეტი ვიდრე 2022 წელს)	930 (197 საქმით მეტი ვიდრე 2022 წელს)
აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობები			
1	2023 წელი	233 (40 შუამდგომლობით ნაკლები ვიდრე 2022 წელს)	233
საგამოძიებო მოქმედების კანონიერებასთან დაკავშირებული შუამდგომლობები			
1	2023 წელი	866 (235 შუამდგომლობით მეტი ვიდრე 2022 წელს)	866

2023 წელს სისხლის სამართლის საქმეების დასრულების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია

რუსთავის საქალაქო სასამართლო						
	განსახილველად დაეწერა	დასრულდა არსებითად	დამტკიცდა საპროცესო	დაუბრუნდა პროკურატურას	შეწყდა	სულ
მამია ფხაკაძე	47	15	31	0	1	47
ქეთინო ლუაშვილი	33	38	67	2	1	108
მადონა მაისურაძე	194	66	111	3	1	181
ეკატერინე პართენიშვილი	211	50	124	3	3	180
მაია შოშიაშვილი	198	66	140	0	6	212
ქრისტინე კოპალიანი	248	55	126	5	4	190

გარდაბნის მაგისტრატი სასამართლო					
	განსახილველ ად დაეწერა	დამტკიცდა საპროცესო	დაუბრუნდა პროკურატურას	სულ	შენიშვნა
მამია ფხაკაძე	2	2	0	2	მორიგეობის და მაგისტრატი მოსამართლის არ ყოფნის დროს განხილული საქმეები
ქეთინო ლუაშვილი	6	6	0	6	მორიგეობის და მაგისტრატი მოსამართლის არ ყოფნის დროს განხილული საქმეები
მადონა მაისურაძე	10	9	1	10	მორიგეობის და მაგისტრატი მოსამართლის არ ყოფნის დროს განხილული საქმეები
ეკატერინე პართენიშვილი	8	7	1	8	მორიგეობის და მაგისტრატი მოსამართლის არ ყოფნის დროს განხილული საქმეები
ქრისტინე კოპალიანი	10	10	0	10	მორიგეობის და მაგისტრატი მოსამართლის არ ყოფნის დროს განხილული საქმეები
მაია შოშიაშვილი	9	9	0	9	მორიგეობის და მაგისტრატი მოსამართლის არ ყოფნის დროს განხილული საქმეები
ირინე ტყეშელაშვილი	24	24	0	24	

2023 წელს სამოქალაქო საქმეების დასრულების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია

რუსთავის საქალაქო სასამართლო			
	განსახილველად დაეწერა	განიხილა	
დიანა გოგატიშვილი	775	880	
მამუკა ნოზაძე	958	935	
პაატა ფხალაძე	991	932	
ქეთინო ლუაშვილი (მაგისტრი მოხელე)	35	25	
მაგდა შენგელია (მაგისტრი მოხელე)	40	45	
გარდაბნის მაგისტრატი სასამართლო			
დიანა გოგატიშვილი	177	113	მაგისტრატი მოსამართლის არ ყოფნის დროს განხილული საქმეები
მამუკა ნოზაძე	173	132	მაგისტრატი მოსამართლის არ ყოფნის დროს განხილული საქმეები
პაატა ფხალაძე	177	150	მაგისტრატი მოსამართლის არ ყოფნის დროს განხილული საქმეები
ირინე ტყეშელაშვილი	218	434	
მაია შოშიაშვილი	6	43	
ქეთინო ლუაშვილი (მაგისტრი მოხელე) (მუშაობის პერიოდი: 2023 წლის 27 ივლისიდან)	3	3	
მაგდა შენგელია (მაგისტრი მოხელე) (მუშაობის პერიოდი: 2023 წლის 21 ივნისამდე)	16	17	

2023 წელს ადმინისტრაციული და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეების დასრულების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია

რუსთავის საქალაქო სასამართლო					
	განსახილველად დაეწერა ადმინისტრაციული საქმე	განიხილა ადმინისტრაციული საქმე	განსახილველად დაეწერა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე	განიხილა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე	
ნატა თედეშვილი	225	214	259	242	
ნინო ონიანი	248	215	292	292	
ირინე ტყეშელაშვილი	5	3	8	9	მორიგეობის დროს განხილული საქმეები
მამუკა ნოზაძე	0	0	1	1	მორიგეობის დროს განხილული საქმეები
გარდაბნის მაგისტრატი სასამართლო					
ნატა თედეშვილი	8	8	280	283	მორიგეობის და მაგისტრატი მოსამართლის არ ყოფნის დროს განხილული საქმეები
ნინო ონიანი	9	9	304	322	მორიგეობის და მაგისტრატი მოსამართლის არ ყოფნის დროს განხილული საქმეები
ირინე ტყეშელაშვილი	22	21	283	324	
მაია შოშიაშვილი	0	0	1	1	მორიგეობის დროს განხილული საქმეები

2023 წელს სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ საქმეებზე, მოსამართლეთა მორიგეობის შესახებ ინფორმაცია დღეების მიხედვით

თვე	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	**სულ**
სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია (არასამუშაო დღეები)													
მამია ფხაკაძე	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1 დღე	**1 დღე**
მადონა მაისურაძე	3 დღე	2 დღე	2 დღე	2 დღე	3 დღე	2 დღე	2 დღე	2 დღე	3 დღე	3 დღე	2 დღე	2 დღე	**28 დღე**
ეკატერინე პართენიშვილი	4 დღე	2 დღე	1 დღე	2 დღე	3 დღე	2 დღე	4 დღე	2 დღე	2 დღე	2 დღე	2 დღე	2 დღე	**28 დღე**
ქრისტინე კოპალიანი	0	0	3 დღე	2 დღე	3 დღე	2 დღე	2 დღე	3 დღე	2 დღე	2 დღე	2 დღე	3 დღე	**24 დღე**
მაია შოშიაშვილი	4 დღე	2 დღე	2 დღე	3 დღე	2 დღე	0	2 დღე	2 დღე	2 დღე	2 დღე	3 დღე	2 დღე	**26 დღე**
ქეთინო ლუაშვილი	4 დღე	2 დღე	2 დღე	3 დღე	0	2 დღე	0	0	0	0	0	0	**13 დღე**
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია (არასამუშაო დღეები)													
ნინო ონიანი	5 დღე	2 დღე	5 დღე	7 დღე	5 დღე	2 დღე	4 დღე	2 დღე	3 დღე	3 დღე	2 დღე	4 დღე	**44 დღე**
ნატა თედეშვილი	6 დღე	4 დღე	5 დღე	5 დღე	6 დღე	4 დღე	4 დღე	5 დღე	4 დღე	2 დღე	4 დღე	4 დღე	**53 დღე**
ირინე ტყეშელაშვილი	4 დღე	2 დღე	0	0	0	0	0	0	2 დღე	4 დღე	3 დღე	2 დღე	**17 დღე**
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია (სამუშაო დღეები)													
ნინო ონიანი	10 დღე	8 დღე	9 დღე	9 დღე	13 დღე	12 დღე	11 დღე	7 დღე	10 დღე	12 დღე	16 დღე	11 დღე	**128 დღე**
ნატა თედეშვილი	6 დღე	12 დღე	12 დღე	9 დღე	7 დღე	10 დღე	10 დღე	15 დღე	11 დღე	10 დღე	5 დღე	10 დღე	**117 დღე**

რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2023 წლის 11 მაისის №227/თ ბრძანებით, ელექტრონული პროგრამის მიერ შემთხვევითი შერჩევის შედეგად შერჩეულ, რუსთავის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლეს - მაია შოშიაშვილს, მისივე თანხმობით დავალებული აქვს რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განსჯადობას მიკუთვნებულ საქმეთა განხილვა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 07 თებერვლის №1/17 განკარგულებით, ქრისტინე კოპალიანი 2023 წლის 15 თებერვლიდან გამწესდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 04 ივლისის №1/69 განკარგულებით, ქეთინო ლუაშვილი გათავისუფლდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობიდან 2023 წლის 26 ივნისიდან, 65 წლის ასაკის მიღწევის გამო.

2023 წლის 27 თებერვლიდან - 15 სექტემბრამდე, მაგისტრატი მოსამართლე გარდაბნის მუნიციპალიტეტში ქალბატონი ირინე ტყეშელაშვილი ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო იმყოფებოდა შვებულებაში.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეების მიერ 2023 წელს ჩატარებული სასამართლო სხდომების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია

თვე	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	**სულ**
სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია													
მამია ფხაკაძე	26	28	41	23	15	23	29	5	39	43	37	36	**345**
ქეთინო ლუაშვილი	110	145	84	47	99	70	0	0	0	0	0	0	**555**
მადონა მაისურაძე	74	94	67	72	74	125	47	39	55	101	73	107	**928**
ეკატერინე პართენიშვილი	91	150	176	88	90	119	105	56	62	85	72	104	**1198**
ქრისტინე კოპალიანი	0	13	69	112	147	128	82	156	136	134	153	189	**1319**
მაია შოშიაშვილი	107	72	96	95	138	139	133	59	70	162	148	88	**1307**
სამოქალაქო საქმეთა კოლეგია													
მამუკა ნოზაძე	13	50	55	35	58	51	39	2	18	50	51	51	**473**
დიანა გოგატიშვილი	40	44	68	43	62	52	45	11	11	73	65	62	**576**
პაატა ფხალაძე	31	46	38	24	44	42	28	3	56	30	60	34	**436**
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია													
ნინო ონიანი	84	50	50	89	163	217	69	17	137	88	70	67	**1101**
ნატა თედეშვილი	35	47	128	120	69	111	47	72	50	47	44	45	**815**
მაგისტრატი მოსამართლე გარდაბნის მუნიციპალიტეტში													
ირინე ტყეშელაშვილი	115	83	0	0	0	0	0	0	83	113	67	73	**534**
მაგისტრი მოხელე (2023 წლის 27 ივლისიდან)													
ქეთინო ლუაშვილი	0	0	0	0	0	0	0	1	1	1	1	3	**7**

სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის გაჭიანურებისა და სხდომათა გადადების ძირითად მიზეზებად გამოიკვეთა:

1. არასაპატიმრო სისხლის სამართლის საქმეებზე, მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმებაზე მიმდინარე მოლაპარაკებების დროში გაჭიანურება, მითუმეტეს იმ პირობებში, როდესაც გაგამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში, უპირობოდ მოსალოდნელია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის დანიშნვა. თუმცა, იგივე ტენდენცია შეინიშნება საპატიმრო საქმეებზეც, სადაც დანაშაულის კატეგორიიდან გამომდინარე, სასჯელის სახით მოსალოდნელია უპირობოდ თავისუფლების აღკვეთა ხანგრძლივი ვადით;
2. სხდომაში მონაწილე პროკურორების სავალდებულო ტრეინინგებში მონაწილეობა, რომლებიც ინიშნება და ტარდება კვირის სამუშაო დღეებში და პროკურორების სიმცირის გამო შეუძლებელი ხდება არმყოფი პროკურორის ჩანაცვლება;
3. მხარეთა მოუმზადებლობა დასკვნითი სიტყვებისთვის;
4. თარჯიმნების კვალიფიკაცია კონკრეტული ენების კუთხურ დიალექტთან მიმართებაში, როცა კუთხური დიალექტის ფაქტორი შეუძლებელს ხდის თარჯიმნის მონაწილეობას, რომელიც სრულყოფილად ფლობს ლიტერატურულ ენას.

სამოქალაქო საქმეთა განხილვის გაჭიანურებისა და სხდომათა გადადების ძირითად მიზეზებად გამოიკვეთა:

1. მოპასუხე მხარეებისთვის სარჩელის და თანდართული გზავნილების ფოსტის მეშვეობით ჩაბარების შეუძლებლობა. პოლიციის დავალებების და საჯარო პუბლიკაციების დროში გახანგრძლივებული პროცესი;
2. მხარეთა სურვილი დავის მორიგებით დასრულების თაობაზე;
3. სოციალური სამსახურის მიერ წარმოსადგენი დასკვნების მომზადების დროში გაჭიანურებული პროცესი მაშინ, როცა ასეთი საქმეზე სავალდებულოა;
4. მხარეთა ინდივიდუალური მიზეზებით სხდომის გადადების მოთხოვნა;
5. განსახილველ საქმეთა სიმრავლე;
6. პოზიციების მოსამზადებლად მხარეთა მოთხოვნა სხდომების გადადების თაობაზე;
7. თარჯიმნებით უზრუნველყოფა.

ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვის გაჭიანურებისა და სხდომათა გადადების ძირითად მიზეზებად გამოიკვეთა:

1. პოზიციების მოსამზადებლად მხარეთა მოთხოვნა სხდომების გადადების თაობაზე;
2. საქმის სრულყოფილად მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების მასალების სასამართლოს მიერ გამოთხოვის აუცილებლობა;
3. მაგისტრატი მოსამართლის არყოფნის გამო, რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ შემჭიდროებულ ვადებში განსახილველი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების სიმრავლე;
4. თარჯიმნებით უზრუნველყოფა.


ჩვენ ერთად ვმუშაობთ წარმატებისთვის